№ 101. 14 მაისი, ოთხშაბათი 1866—1880 14 მაისი, ოთხშაბათი № 101.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

რედაქცია

ერევნის მოედანზე, შუა-ბაზრის თავში მარცხნივ თ. ლუარსაბ [illegible] სახლში, № 2.

ხელის-მოწერა

მიიღება „დროება“-„ივერიის“ რედაქციაში. გარეშე ცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“-„Иверіи“

„დროება“-„ივერიის“ ფასი

| | წელიწადში. | 6 თვეს. | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| „დროება“-„ივერია“ ერთად | 13 მან. | 7 მან. | 4 მ. |
| ცალკე „დროება“ | 9 მან. | 5 მან. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია“ | 6 მან. | 4 მან. | 2 მ. |

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ. „ივერიისა“ 2 მან.

ფასი განცხადებისა

დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ., ჩვეულებრივის ასოებით სტრიქონზე ნახევარი კაპ. ჩვეულებრივის ასოთი ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია ფოშტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

## ტელეგრამმები

(ხალხთა შორის სააგენტოსი)

ვენა, 11 მაისს ინგლისის ახალ ელჩს გოშენს პარასკევს მიელიან სტამბოლში; ის იმ წამსვე შეუდგება თავის საქმეს, ე. ი. მოკრებს ადგილობრივ ცნობებს და შემდეგ ყველა უმთავრეს სახელმწიფოების მხრით წარუდგინოს ოსმალეთს საზოგადო მოთხოვნილება ბერლინის ტრაქტატის ბეჯითად ასრულებისთვის. ამ საზოგადო მოთხოვნილებაში მოხსენებული იქნება, პირველად დაუყოვნებლივ შესრულოს ბერლინის ტრაქტის მუხლები შესახებ ჩერნოგორიის, საბერძნეთისა და სომხეთისა.

პეტერბურღის ბირჟა, 12 მაისს.

(„ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი“)

| ბანკის ბილეთები: | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პირველი გამოცემისა | 93 | 75 |
| მეორესი | 92 | 37 |
| მესამესი | 93 | 50 |
| მეოთხესი | 93 | 62 |
| აღმოსავლეთის პირვ. | 90 | 75 |
| აღმოსავლეთის მეორე | 90 | 62 |
| აღმოსავლეთის მესამე | 90 | 65 |
| ოქრო, ½ იმპერიალი | 7 | 77 |
| თფილისის საადგ.-მამ. ბანკის გირაოს ფურცელი | „ | „ |

| შინაგანი 5% სესხის ბილეთები: | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პირველი სესხის | 226 | 75 |
| მეორე სესხის | 220 | 75 |

1 მანეთი ღირს:

| | | | |
|---|---|---|---|
| ლონდონი | 25 | 21 | პენსი |
| ჰამბურღი | 215 | 50 | ცენტი |
| პარიჟი | 266 | „ | სანტიმი |
| ვენა | 127 | 60 | პფენიგი |
| კავკასიის კერასინი | — | — | |

## ვინ უნდა იქმნას ამორჩეული?

ტფილისი, 13 მაისს.

თბილისში ამ უკანასკნელ დღეებში სოფლელი მღვდლები ხშირი სანახავნი გახდნენ. ესენი არიან დეპუტატები, ანუ წარმომადგენელნი, თბილისის ოლქის სამღვდელოებისა და სწვევიან ჩვენ ქალაქს დასასწრებლად კრებაზედ, რომელიც უნდა მოხდეს ხვალ, 14 ამ თვისას, საღამოზედ. კრება მოწვეულია სასულიერო მთავრობის მიერ თბილისის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველის ამოსარჩევად. ეს თანამდებობა ამას წინეთ დაიცალა, რადგანაც ზედამხედველი სტახოვსკი დათხოვნილ იქმნა თანამდებობიდგან, თანახმად ადგილობრივი სამღვდელოების სურვილისა.

საგანი სამღვდელოების მსჯელობისა ამ ჟამად არის მძიმე და სავსე მნიშვნელობითა. სამღვდელოებამ უნდა უშოვნოს პატრონი ვრცელ სასწავლებელს, სადაც თითქმის ორასი ყმაწვილი სწავლობს და ემზადება შემდგომში გამოსასვლელად ცხოვრების მაღალ ასპარეზზედ. ამოდენა სასწავლებლის კეთილად, წარმატებით მართვა მაშინაც ძნელ საქმეს შეადგენს, როდესაც სასწავლებელში კეთილგანწყობილება და წესიერება სუფევს. სამწუხაროდ სრულიად ამის წინააღმდეგი უნდა ითქვას თბილისის სასულიერო სასწავლებელზედ. ეს სასწავლებელი ამ ხუთი-ექვსი წლის განმავლობაში ისეთი სისწრაფით წავიდა უკან-უკან, რომ სულ უკანასკნელ მდგომარეობამდის მიაღწია. შარშან სეკტემბერში, მაგალითად, ამ სასწავლებელში კურს-შესრულებულთაგან სემინარიაში შესასვლელი ეგზემენი მხოლოდ ორმა დაიჭირა ხეირიანად. სემინარიაში ამ სასწავლებლიდგან გადასული მოწაფენი ძალიან უხეიროდ და სუსტათა სწავლობენ. თვით თბილისის ოლქის სამღვდელოება, ის სამღვდელოება, რომელიც თავისი მოთმინებით, ყურ-მიგდებით, დაუდევრობით და პირუვანი ხათრიჯამობით ცნ. ბილია, მოთმინებიდგან გამოვიდა შარშანდელი წლის დამლევს სასწავლებლის საძაგელი მდგომარეობის გამო, და მოითხოვა ზედამხედველის დათხოვნა. თითქმის ყოველმა ადგილობრივმა გაზეთმა არა-ერთხელ გამოაქვეყნა უწესოება და დაცემა თბილისის სასულიერო სასწავლებლისა ყოველის მხრით: ეკონომიურისა, სწავლისა და აღზრდისა. რუსეთის გაზეთებამდისაც კი მიაღწია თბილისის სასულიერო სასწავლებლის უნუგეშო მდგომარეობამ და მათმა რედაქციებმა მოითხოვეს გასაკუთარებითი ყურადღების მიქცევა ამ სენისადმი, მაგალითად „Голосъ“-მა.

ამ გვარად დაცემულს და დაფუშულს სასწავლებელს დიდი პატრონობა უნდა. მისი ფეხზედ დაყენება, გასწორება ყველასათვის შესაძლებელი არ არის. მხოლოდ მხნეს, ენერგიულს და ერთგულს პირს შეუძლიან მისი აღდგინება. თუ თავისი შვილების სიკეთე ყველაფერს ურჩევნია ჩვენ სამღვდელოებას, მან სწორედ ამ გვარი პირი უნდა მოძებნოს და დაუყენოს სასწავლებელს პატრონად, და არა ვისთვისმე პიროვნად საამური სულიერი. ამ ჟამად ეს ძნელი არ არის, ჩვენდა სანუგეშოდ. ახალგაზრდა აკადემიელებში არა ერთი ყმაწვილი კაცი ურევია, რომელსაც შეუძლიან სასწავლებლის აღდგინება და მარჯვეთ წამართვა. მათ პოვნას ბევრი ძებნა არ უნდა. ეჭირება მხოლოდ გულწრფელობა და კეთილი-სვინიდისის ჩაგონების აღსრულება, სხვა არაფერი.

ზედამხედველის ჯამაგირმა თურმე ბევრს ძველს ხარდალს და ახალს ნიორს გაუღვიძა მადა და განუცხოველა წადილი ამ თანამდებობის ხელში ჩაგდებისა. სამღვდელოება ფხიზლად უნდა იყოს, თორემ შეიძლება ნამდვილი გამდელის მაგიერათ მან თავისი შვილების ბედი ხელში ჩაუგდოს უგულო და უსულო დედინაცვალს, მწყემსის მაგიერად დაუპატრონოს მგელი ჩინოვნიკის ტყავში. გარეგან შემკობილობას, ფართი-ფურთიან სიას სამსახურისასა აქ მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს. თანაგრძნობა, გულ-შემატკივრობა, პატიოსნება, მხნეობა, ნიჭიერება და სიყვარული ყმაწვილებისადმი — აი თვისებანი, რომლებითაც უნდა იყოს შემკული მძიმე ნელი ამ მძიმე და რთული თანამდებობისა. მხოლოდ ეს თვისებანი უნდა ეძიოს კანდიდატებში სამღვდელოებამ და არ უღალატოს კეთილ-გონიერებას რაიმე გარეგანი ზედ-გავლენის გამო. ვინც ჯამაგირის სიყვარულით არის

## ფელეტონი

### მგზავრის შენიშვნები

(მოგზაურობა არაგვის ხეობაში)

(შემდეგი*)

ორიოდე სიტყვა, ანუ ჩემი მოსაზრება „კოპალეს ქვაზედ“ უნდა მოგახსენოთ, იქნება ქვაზედაც ახლოს იყოს:

ხა ი კოპალე გზის პირზეა და მაშასადამე არაგვის პირზედაც, რადგანაც გზა არაგვის ნაპირს არ ასცილდება. კოპალეს ხატის ასწვრივ, მაღლა მთის ქედზედ არის ერთი ძველის ძველი თალ-ჩამონგრეული ეკკლესია. ზემოხსენებული ქვა, ჩემის ფიქრით, ამ ეკკლესიის ტრაპეზი უნდა ყოფილიყო, რადგანაც ხსენებულს ქვას ნამდვილი ტრაპეზის ფორმა აქვს. შესაძლებელია და ადგილი მდებარეობაც გვეთანხმება, რომ ის ქვა ზევიდგან ღელე-ღელე ჩამოგორდა ეკკლესიის დანგრევის დროს და იმ ადგილას დადგა, სადაც ახლა ძევს... ხსენებულის ეკკლესიის ნახვა მინდოდა, მაგრამ არც ამხანაგი მყვანდა და არც გზა იყო; დაბლიდგან, — მაღლიდგან არის გზაო, მითხრეს. და ხსენებულს ეკკლესიაში ტრაპეზი არ აღმოჩნდა, — მაშინ უფრო ეჭვზედ შორს იქნება და სიმართლეზედ ახლო ჩემი მოსაზრება ხსენებულის ქვის შესახებ.

დამარწმუნეს, რომ იმ ძველის ეკკლესიის გარეშემო ბევრი საფლავებიაო. ვგონებ ურიგო არ იქმნება ამ საფლავების გაშინჯვა. „კავკასიის არხეოლოგიის მოყვარეთა საზოგადოებისაგან“. აქ უეჭველად ბევრი რამ ნივთები აღმოჩნდება არხეოლოგიისა და ისტორიისათვის საჭირო...

გავიარეთ რამდენიმე ვერსი და ხალხი ხელ-ახლად შესდგა. როდესაც ვიკითხე ამ გარემოების მიზეზი, — მიპასუხეს: აქ, არაგვის პირზე ტინიდგან მჟავე წყარო გამომდინარეობსო. ჩამოვხდი ცხენიდამ და გავემართე წყაროსაკენ, სადაც ხალხი რამდენსამე ჯგუფად გაყოფილი შეექცევოდა. მოვედი წყაროზედ და ერთი მადიანად დავეწაფე; სმის დროს ვიგრძენ ტუჩების ჯერ ლიტინი, შემდეგ წვა, როგორც ხუთი-ექვსის დღის მაჭარმა იცის. რომ დავასრულე წყლის სმა და დავიგემოვე, დავრწმუნდი, რომ იგი მართლა საგრძნობელად მჟავე იყო. თვით წყარო წმინდა კამკამივით გამოდის ლურჯის ტინიდგან; ხოლო ქვიშა კი წითელი აქვს. რამდენიმე კენჭი ამოვიღე და გავიხეხე ხელზედ, — წითელი ფერი ქვისა ხელზედ გადამედო. ეს წითელი ფერი ჟანგი აღმოჩნდა და თვით წყარო „რკინის წყაროდ.“

ყველა ხევსური თუ ფშაველი აქ გამოვლის დროს ჩამოხდება და დალევს ამ წყალსა, „რადგანაც მარგებელიაო.“ ეს წყალი სასარგებლო სასმელი იქმნებოდა ნაკლების სისხლის მქონეთათვის; ვგონებ ამ ბუნებითის რკინის წყლის სმა სჯობდეს და სასარგებლოც იყოს, ვიდრე „რკინის პარაშოკების“ მიღება, რადგანაც ამ უკანასკნელს ბევრის სტომაქი ვერ ერევა და მორჩენის მაგიერად საიქიოს ისტუმრებს... ორი-სამი ჩემი ამხანაგიც გაისტუმრა საიქიოს ბევრმა და ხშირად მიღებამ ხსენებულის წამლისამ... დიდი და ძნელი საქმე არ იქმნება რომ ჩვენმა აფთექარებმა ხსენებულის და სხვა რკინის წყაროთაგან წაიღონ ხოლმე ბოთლებით წყალი... ეს წყარო სოფ. ჩარგალის მახლობლად მდებარეობს.

სოფ. ჩარგალთანვე არაგვის მარცხენა ნაპირზედ შადრევანივით ამოჩხრიალებს მლაშე წყალი, რომელსაც საქონელი თურმე ძალიან ეტანება და ძლიერადაც ჰრგებს ოთხფეხსა. აქვე არის მჟრალი „სუნიანი“ წყარო, რომლის თვისებაზედ ვერაფერი შევიტყე, რადგანაც თვით ფშაველებმა ვერა-

*) „დროება“ № 100.

ალქურვილი, ის თანამდებობის აღსრულების დროს იქმნება მხოლოდ უსულო და უგულო ჩინოვნიკი, რომელიც მარტო იმასა ცდილობს, რომ გარეგნობითი, ფორმალური წესიერება სუფევდეს მის სასწავლებელში და რომელსაც ფეხებზედაც არა ჰკიდია ნამდვილი სიკეთე, ჭეშმარიტი სწავლა და კეთილი აღზრდა თვისი მოწაფეებისა. მხოლოდ წრფელი სიყვარული ყმაწვილებისადმი, მხურვალე თანაგრძნობა მათ მშობელთადმი შეიქმნს ჭეშმარიტს აღმზრდელს, ნამდვილ პედაგოგს, რომელიც, კეთილი მწყემსივით, თავსა სდებს თავის ყრმათათვის და მთლად დამყარებულია თავის მაღალ და წმინდა მოვალეობის აღსრულებაზედ.

რაც შეეხება მას, თუ ორ თანასწორ ღირსებიან კანდიდატში რომელს უნდა მიეცეს უპირატესობა, სამშობლოს შვილს, თუ შორეულს, ამაზედ არსებობს საკუთარი გარდაწყვეტილობა უწმიდესის სინოდისა, რომლითაც უპირატესობა ეძლევა პირველს, სამშობლოს შვილსა. ეს გარდაწყვეტილობა მოქცეულია სინოდის გარდაწყვეტილობათა კრებაშიაც (**Сборникъ постановленій св. Сvнода**). თუ სახეში მივიღებთ, რომ ყოველი კაცი თავის სამშობლოსთან არის დაკავშირებული სიყვარულითა და თანაგრძნობითა და ამიტომ აქ უფრო ძნელად შეუძლიან გადიქცეს თავის თანამდებობაში მკვდარი ფორმის აღმასრულებლად, უსულო ჩინოვნიკად და უგულო მოჯამაგირედ, მაშინ ჩვენ არ შეგვიძლიან არ დავთანხმდეთ, რომ ეს გარდაწყვეტილობა უწმიდესის სინოდისა არის სავსე სიბრძნითა, სიმართლითა და შორს-გამჭვრეტელობითა. სამღვდელოთა კრებამ ვალდებულია იქონიოს ეს გადაწყვეტილობა ხელმძღვანელად ამორჩევის დროსა და მის ნამდვილს ჰაზრს არ გადასცდეს არც მარჯვენივ და არც მარცხნივ.

## ქალაქის რჩევის სხდომა

12 მაისს.

ზალაში არა—ჩვეულებრივი მოძრაობა და გაცხარებული ლაპარაკია.

გარეშე მაყურებლებისათვის დატოვებული ადგილი სულ სავსეა ხალხით და ბევრნიც კარებთან ფეხზე დგანან.

ყველა გაზეთების რეპორტიორები თავის ადგილზე არიან; მხოლოთ გაზ. „მშაკს“ არა ჰყავს აქ თავის წარმომადგენელი; მაგრამ თვითონ ამ გაზეთის რედაქტორი მაყურებლებთ რიცხვში სჩანს.

სხდომა $8\frac{1}{4}$ იხსნება.

ქალაქის სეკრეტარმა წაიკითხა გავლილ სხდომის პროტოკოლი.

**ქალაქის თავმა** მოახსენა რჩევას, რომ იმან აასრულა რჩევის მონდობილობა: ფოთი-თფილისის რკინის გზის საზოგადოებას ტელეგრამმით ჰკითხა—აქვს თუ არა მთავარ ინჟინერ ბუნგეს, რომ ქალაქს სხვა-და-სხვა პირობებით შეეკრასო, და საზოგადოებამ ტელეგრამმითვე აცნობა იმას (ქალაქის თავს), რომ ინჟინერს ბუნგეს ყოველი ამგვარი უფლება სრულად აქვს ჩვენგან მინიჭებულიო.

შემდეგ ქალაქის სეკრეტარმა წაიკითხა ხმოს. ა. ლ. თაიროვის დაწერილი წინადადება გაზ. „მშაკის“ იმ სტატიის თაობაზედ, რომელშიაც ქალაქის გამგეობის (უპრავის) წევრებს აბრალებდნენ ახლანდელ სიძვირესა, რადგან ამათ პოდრიადები და ტყავის ქარხნები აქ აქვთო, ყასბებთან პირი აქვთ შეკრული და სხვ. ხმოს. თაიროვი თხოულობდა, რომ გამგეობამ ამ გვარ უსაფუძვლო ჭორებზე პასუხი დასწეროს ანუ სამართლით გაიმართლოს თავი.

ქალაქის თავი ა. ს. მატინოვი თხოულობს, რომ, რადგან ეს საგანი მე შემეხება და არ მინდაო, რომ კრებაზე რაიმე გავლენა ანუ ზედ-მოქმედება ვიქონიო ჩემის თავს-მჯდომარეობით, ამის გამო უმორჩილესად გთხოვთო, სანამ ამ საგანზე გექმნებათ სჯა, თავმჯდომარეობის მოვალეობიდამ გამათავისუფლოთო.

**ხმოს. ამატუნი.** ერთი წინადადება მინდა შემოვიტანო და სანამ ამას განიხილავდნენ, შეიძლება ქალაქის თავი იყოს ისევ თავსმჯდომარეთ. ჩემის აზრით, თაიროვის წინადადების ერთი მხოლოთ განხილვა იმას მოასწავებს, რომ თქვენ რწმენა არა გაქვთ ახლანდელ გამგეობისა, რომ თქვენ თითქო რასმეში ამტყუვნებთ იმას. ამის გამო მე ვთხოულობ, რომ სანამ თვით-ხსენებულ წინადადებაზე, სანამ თვით ამ საგანზე დაიწყებდეთ სჯას, მანამ პირ-და-პირ დავადგინოთ და გადავწყვიტოთ შემდეგი კითხვა: გვაქვს ჩვენ ახლანდელის გამგეობის რწმენა, თუ არა? ვენდობით იმას, თუ არა? თუ ჩვენ ვიტყვით „ჰო“, „გვაქვსო“, მაშინ ხმოს. თაიროვის წინადადებაზე ლაპარაკი სრულიად საჭიროც აღარ იქნება.

**ხმოს. ელიმარზოვი.** თვითონ წინადადების შემომტანი თაიროვი ამბობს, რომ „მშაკის“ სტატია უსაფუძვლო სტატია არისო; მაშასადამე რა პასუხი უნდა გავცეთ ამ გვარ უაზრო და უსაფუძვლო სტატიას? მეც იმ აზრისა ვარ, რომ გამგეობას სრული ჩვენი ნდობა გამოუცხადოთ.

**ხმოს. ნიკოლაძე.** ჩემის აზრით „სამოქალაქო წესდების“ ძალით, ქალაქის თავს არა აქვს უფლება, რომ ამ შემთხვევაში იმან თავმჯომარეობა მიატოვოს მაგრამ, თუ რჩევა დათანხმდება იმის თხოვნაზე, მაშინ ჩვენ ახალი თავსმჯდომარე უნდა ამოვირჩიოთ და არა იმას უნდა მივანდოთ დღეს ეს მოვალეობა, რომელსაც მომეტებული კენჭი მიუღია 1 კატეგორიაში.

**ხმოს. იზმაილოვს** „სამოქალაქო წესდების“ მუხლები მოჰყავს და ამტკიცებს, რომ ამ გვარ შემთხვევაში ქალქის თავი არ თავმჯდომარეობს რჩევის სხდომაში.

ქალაქის თავი გავიდა ზალიდ[illegible]; მას თან გაჰყვა დანარჩენი სამი წ[illegible]რიც გამგეობისა.

თავმჯდომარის კრესლოზე დაჯდ[illegible] **ანტ. ს. ყორღანოვი**, რომელმანც ერთხელ კიდევ წაიკითხა ხმო[illegible]. თაიროვის წინადადების დასკვნა და გამოაცხადა—ვისაც ნებავს, ილაპარაკოს ამ საგანზე.

**ხმოს. ამატუნი** იმეორებს თავის წინადადებას: სანამ თავალ ამ საგანზე სჯას დავიწყებდეთ, მანამ გამოვაცხადოთ: გვაქვს ნდობა ახლანდელის ჩვენის გამგეობისა, თუ არაო?

**ხმოს. ელიმარზოვის** აზრით, გაზეთებს სრული თავისუფლება უნდა ჰქონდეს მინიჭებული, ჩვენ არ უნდა ვცდილობდეთ იმათ შევიწროებასაო. ისინი ვალდებულნი არიან მუდამ ახალი ამბები გვაცნობონ და ამიტომ შეიძლება ხანდისხან შეცდომით მოიყვანონ ზოგიერთი ცნობანი. ამის გამო ყველას ისევ ისა სჯობიან, რომ ჩვენ გამგეობას ნდობა გამოუცხადოთ და შემდეგ საგნების განხილვას შეუდგეთ.

**ხმოს. ნიკოლაძე.** ადგილობრივ გაზეთებში ბევრი ყურადღების ღირსი სტატიები იბეჭდებოდა; მაგრამ, საწუხაროთ, არც ქალაქის თვითმართველობასა და არც საზოგადოებას იმ სტატიებზე თითქმის არავითარი ყურადღება არ მიუქცევია. ახლა კი რაღაც უსაფუძლო, სულელური სტატია დაიბეჭდა „მშაკში“ რომელშიაც პიროვნებაა შეხებული, და ქალაქის რჩევაც შეანძრია ამ სკანდალურ სტატიამ და საზოგადოებაც აღელვა, გამოაღვიძა. ეს მაგალითი გვიმტკიცებს, რომ ჩვენ სკანდალებს, პიროვნებას ვაქცევთ ყურადღებას და არა ნამდვილ საქალაქო სასარგებლო საგნებსა. მაგრამ რაც უნდა უმნიშვნელო და უსაფუძვლო იყოს „მშაკის“ სტატია, რადგან ერთხელვე ჩამოვაგდეთ იმაზე ლაპარაკი, ახლა გაჩუმება აღარ შეიძლება; გამოვიძიოთ

---

ფერი მითხრეს...

გავსცილდით სოფ. ჩარგალსა და კიდევ რამდენიმე სოფელი დავინახეთ მთის წვერებზედ მდებარენი, ხუთი-ექვსი კომლი ერთად. რაც უფრო ლაშარს ვახლოვდებოდით, უფრო ზევით მაღლა ავდიოდით, ტყეც თხელდებოდა და სოფლებიც უფრო მაღლა მდებარეობდნენ და გზებიც უცუდესნი იყვნენ. აქ შეშას, ძნას ჯორებით ეზიდებიან სახლში; ხოლო თივას კი დაასცურებენ ან დააგორებენ ხოლმე საშინელის სიმაღლიდამ...

მივედით იმ ადგილამდინ, სადაც იყრებიან—ერთდებიან უკანა-ფშავისა და ხევსურეთის (თეთრი და შავი) არაგვები, ანუ როგორც აქ უწოდებენ—„ორ-წყლამდინ“. მარჯვენივ ასდევს ხევსურეთის არაგვს გზა ხევსურეთისაკენ; ხოლო მარცხნივ უკანა-ფშავისაკენ. ხევსურისაკენ მგზავრის თვალს წარმოუდგება მხოლოდ მაღალი შიშველი მთები. ხოლო ფშავისაკენ კი მუამდინ ტყე-მცენარეობით შემოსილი, მაგრამ ზევით-და-ზევით ტყე-მცენარეობა შესამჩნევად თხელდება; ასე რომ უკანა ფშავში ტყე სრულიად სწყდება მთებზე,—ეტყობა, რომ აქ იწყობა თოვლისა და ყინვის სამფლობელოის საზღვარი...

მივედით სოფ. შუაფხოში...

სოფ. შუაფხოში იქაური მღვდელი ი. ბ. გაგვიმასპინძლდა: მღვდელს სახლობაც აქა ჰყავნდა. სოფელი დაბლა, ზედ არაგვის პირზეა და რადგანაც ზაფხულში მომეტებულად ცხელა, „დამცდელიც“ ყოფილა. თვით მღვდელი თურმე სახლობით ცხრა თვე წოლილიყო ლოგინში ციებ-ცხელებისაგან. რას იზამს აქ ავათმყოფის პატრონი, ვის მიჰმართავს წამლისა და მკურნალისათვის? მკურნალის აქ ერთხელ მოყვანაში შვიდი-ათი თუმანი (მღვდლის ნახევარი წლიური ჯამაგირი) მიდის! დიდი საქმეა მკურნალი დანიშნოს აქ „ქრ. აღმ. საზოგადოებამა“? შესაბრალისნი არიან აქაური მღვდლები!..

სამხრობის ჟამს მღვდლის სახლობა და ჩვენ ერთად გავემგზავრენით „ლაშარის-ჯვარისაკენ“, რომლის დღესასწაული იმ საღამოთივე იწყობოდა. თორმეტი ვერსი იქმნება შუაფხოდამ ლაშარამდინ. სამჯერ-ოთხჯერ არაგვში გავედ-გამოვედით და შევუდგით ერთს საცალ-ფეხო უზარ-მაზარს აღმართსა. თითო-თითოდ გამწკრივებულნი მივდიოდით მე, არხეინად ცხენზედ მჯდომი, ველაპარაკებოდი ერთს თანამოგზაურთაგანს. ნახევარი აღმართი ისე ავიარეთ, რომ არც მარჯვენივ და არც მარცხნივ არ მიმიხედნია. მივიხედე უეცრად მარჯვენივ და ელდა მეცა: უფსკრულის ფრიალო კლდის პირზედ მიდიოდა ცხენი და იმ სიმაღლემდინ ავსულიყავით, რომ გიჟი არაგვი, რომლის ღრიალი სიშორისა გამო აღარ ისმოდა, ვიწრო თეთრ არშიად-ღა სჩანდა! მეგონა ცხენს მარჯვენივ მეტად გადუწევია-მეთქი, და ლაგამს მარცხნივ მიუწიე, მაგრამ მარცხნივ თვალ-აუწვდენელი მთის აყუდებული კედელი იყო. ვსთქვი: ეგ არის „აღსასრული ჩემი მოახლოვებულ არს“-მეთქი და შევაყენე ცხენი ჩამოვხტები-მეთქი, მაგრამ ჩამოსასვლელი ადგილიც აღარ იყო. მთელი გზის სიგანე ცხენს ეკავა. გავატარე ცხენი კიდევ, და რა დავინახე ჩამოსახდომი ადგილი, ჩამოველ ცხენიდამ და გავსწიე ქვეითად, და რადგანაც მეშინოდა გადავარდნისა, მარცხენა მთის კედელზე მიყრდნობილი მივდიოდი წინ.

ხან დაბლა, უფსკრულში ჩავიდოდით და არაგვის პირზე რიყეზე მოვექცეოდით, ხან თვალ-აუწვდენელს სიმაღლეზედ ავიდოდით. ორჯელ იმ სიმაღლემდინ ავედით, რომ არაგვს სრულიად ველარა ვხედავდით. ერთის სიტყვით, ღმერთამდინ ერთი ადლი თუ-ღა იქმნებოდა, იმ სიმაღლეზედ ავედით!

მივედით ლაშარის გორის ძირში. აქ ბარის ხალხი იყო დაბანაკებული, რადგანაც ზევით ხატამდინ ასვლა ვერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ სტატიაში მოყვანილი გარემოება, და მხოლოთ შემდეგ ამისა დავდვათ ჩვენი განაჩენი.

ხმოს. როტინოვი. „მშაკ“ ძალიან ხშირად სისულელეს, სიბრიყვეს ამბობს. ყველა სისულელეს და სიბრიყვეს ქალაქის რჩევა ყურადღებას ვერ მიაქცევს. ჩემი აზრია, რომ სხვა საგნების განხილვას შეუდგეთ.

ხმოს. ევანგულოვი. მე ჯერ კიდევ ბეჯითად ვერ შემიტყვია—რას ამბობს „მშაკი“ ჩვენს გამგეობაზე. ყველამ ცხადათ დავინახეთ, რომ ფასების დადება პირდაპირ უპრავის მოვალეობა არ არის და ამ მხრით იმას კიდეც რომ უნდოდეს უსინიდისოთ მოქცევა არ შეუძლიან. რაიცა შეეხება ტყავის ქარხანას, აქაც ქალაქის თავს არ შეუძლიან რაიმე გავლენა იქონიოს ხარცის ან სხვა ხორაგეულის სიძვირეზედ. მაშ რასში ამტყუვნებენ გამგეობას? თუ ხმოს. თაიროვმა ცხადათ არ გამოსთქვა თავის წინადადება, მეც იმ აზრისა ვარ, რომ სხვა საგნების განხილვას შეუდგეთ.

ხმოს. სუნდუკიანცი თანახმაა ევანგულოვის და ნიკოლაძის აზრისა, მაგრამ თხოულობს, რომ რჩევამ გამოაცხადოს თავის აზრი ამ საგნის შესახებ და ისე გადავიდეს მორიგ საგნებზე.

ხმოს. ჩოლაყაშვილი თითქმის ამავე აზრს აცხადებს: ჩვენ აზრი გამოვაცხადოთ თაიროვის წინადადებაზე და ისე გადავიდეთ შემდეგ საგნებზედო.

ბოლოს კრებამ ხმის უმეტესობით მიიღო შემდეგი „გადასვლა მორიგ საქმეზე“: „რჩევა დარწმუნდა, რომ ხმოს. თაიროვის წინადადებაში მოხსენებული გარემოება ყოვლად უსაფუძვლო გარემოებაა, და გადადის მორიგ საქმეებზე“.

## ახალი ამბები

—

დიდ-ძალი ტარბი მოფრინდა ამ უკანასკნელი ორი კვირის განმავლობაში ყარაიაზში და საზოგადოთ ყველგან, სადაც კი თფილისის გუბერნიაში კალია მოინახება; მხოლოთ, რადგან, ეს კალია ჯერ-ჯერობით ერთობ წვრილია, ამიტომ რასაც არა სჭამს ტარბი, თორემ ისე ვერ ხოცავს; და შეჭმით აბა რამდენი უნდა შესჭამოს! კარგი საყურებელი მაშინ არის, როდესაც კალია ფრთებს გამოისხამს და ტარბი დაერევა. ერთი წყება რომ კალიას დაერევა და თუ ნისკარტით, თუ ფრთებით და თუ ბრჭყალებით ხოცავს და მუსრს ადენს, მეორე წყება ამ დროს წყლის პირას იბანს ტანს, ისვენებს და როცა დაისვენებს, მიფრინავს საბრძოლველად, და ახლა პირველი წყება ისვენებს და ამ გვარად რიგ-რიგათ მუშაობენ...

თუ ტარბი ვერაფერს აკლებს, მაგიერად ხალხი ძალიან ბევრს ხოცავს ამ ჟამად. ადმინისტრაციაც დიდ ფაცა-ფუცშია; განსაკუთრებით ყველანი აქებენ ბატ. თფილისის ღუბერნატორის ენერგიულ და დაუღალავ მოქმედებას.

ზანგის გუბერნიაში და აგრეთვე ჩვენშიაც რამდენსამე ალაგას კალია სრულებით გაუწყვეტიათ. გაზ. „კავკაზში“ იწერებიან, სხვათა შორის, რომ გასულ 28 აპრილიდამ მაისის 3-მდინ გორის ახლო-მახლო ადგილებში 300 ფუთზე მეტი კალია დახოცა ხალხმაო.

***

გასულ კვირას, ზოგიერთ აქაურ სომხების თაოსნობით, ალექსანდროვის ბაღში გამართული იყო ლოტარეია-ალლეგრი, ვანის დამშეულ სომხების სასარგებლოდ. ლატარეიაში ათამაშებდნენ ექვსასამდინ სხვა-და-სხვა ნივთებსა, რომელიც თფილისის სომხებმა შესწირეს. ამბობენ, რომ ამ საქმის მოთავეებს ალეგრიდამ 4,000 მანეთზე მომეტებული შემოსვლიათ დამშეულ ვანელების სასარგებლოთაო.

***

მეტეხის ტუსაღების ბიბლიოთეკისათვის ჩვენ მივიღეთ კიდევ შემდეგი შვიდი წიგნი არს. ქალანდაძისაგან: 1) ვეფხვის-ტყაოსანი—1 ეგზ., 2) ძველი აღთქმის სამღვთო ისტორია—1 ეგზ., 3) ექიმბაში—1 ეგზ., 4) ბაზარი (ლექსი)—1, 5) მირიანი—1, 6) ვარდ-ბულბულიანი—1 და 7) დავრიშიანი.

***

სიღნაღიდამ გვწერენ, რომ ამას წინად ერთმა ვიღაც მეშაქრემ მოიტანა აქ ფქვილი და გამოაცხადაო, რომ როგორც მიზის ისე ვყიდიო, ე. ი. ფუთს 2 მან. 80 კა.; რამდენიმე ფუთი ვიყიდეთო, მაგრამ გაცრის შემდეგ ეს ფქვილი ნახევარი ფქვილი დადგა და ნახევარიც ფეტვიო. ამ ნაირად, ფუთი ფქვილი 4 მანეთზე მეტად მოდისო...

## საზოგადო კრება ტფ. გუბ. თავად-აზნაურთ საზოგადოებისა შეუძლებელ მოსწავლეთა დახმარებისათვის.

26 აპრილს დანიშნული ჩვეულებრივი საზოგადო წლიური კრება ზემოხსენებულ საზოგადოებისა, როგორც ჩვენი გაზეთის მკითხველებმა იციან, წევრთა კანონიერ რიცხვის შეუკრებელობის გამო ვერ მოხდა, რის გამოც დანიშნული იქმნა განმეორებითი კრება წასრულ კვირასთვის, 11 მაისს. ამ მეორედ დანიშნულს ვადაზე კრება თუმც მოხდა მაგრამ ათი საათის მაგიერ, როდესაც უნდა დაწყებულიყო კრების სხდომა, იგი გაიხსნა 12 საათზედ. მიზეზი ერთობ ცოტა წევრების მოსვლა იყო. თუმც თავმჯდომარეს (ქ. ხ. მამაცაშვილს) უფლება ჰქონდა წევრების რიცხვის მიუხედველად გაეხსნა სხდომა, მაგრამ რადგანაც განსახილველი საგნები ერთობ საყურადღებონი იყვნენ, მას ჰსურდა რაც შეიძლებოდა მომეტებული წევრნი დასწრებოდნენ, და ამიტომაც ვადაზე მეტი ორი საათი უცადა მათ მოსვლას. ბოლოს როგორც იქნა ცხრამეტი წევრი შეიკრიბა და თავმჯდომარემ შესაძლოდ დაინახა სხდომა გაეხსნა.

საქმეთა განხილვის დაწყებამდი პატივცემულმა თავმჯდომარემ მოკლე, მარტივ, მაგრამ საფუძვლიანი სიტყვებით უგულითადესი ზურგს-უკანი სამდურავით მოიხსენა ის თავად-აზნაურები, რომელნიც საზოგადო კრების წევრებად არიან და ასე გულ-გრილად ეკიდებიან მისს საქმეებს.

პირველად წარმოადგინეს დასამტკიცებლად წასრული წლის ანგარიში, რომლიდამაც ჩანს, რომ

ა) საზოგადოებას შარშანდელ წლის ანგარიშიდამ დარჩენილი ჰქონია—19,628 მან. 55 კაპ. და აქედამ ამ წელში დაუხარჯავს:

ა) შკოლის შესანახავად—13,536 მან. 50 კაპ., იტალიაში მოსწავლე მხატვარ ბერიძის სტიპენდიისათვის—918 მან. 21 კ.

ბ) დავით ღვინიაშვილის შესაწევნელად, რომელიც ჰერმანიაში სწავლის გასაგრძელებლად წავიდა—150 მ.

გ) საზოგადოების შკოლის ყოფილ ინსპექტორს შიუკოვს ჰერმანიაში პედაგოგიურის მიზნით წასრულს ესესხა (კომიტეტის ორი წევრის თავდებობით)—150 მ. მაშასადამე სულ დახარჯულა 14,754 მ. 71 კაპ. და მომავალ საანგარიშო წლისათვის დარჩენილა 6,373 მ. 84 კ.

საზოგადოების შკოლაში სწავლობს 81 ყმაწვილი, მათ რიცხვში 68 თავად-აზნაურია და 13 სხვა წოდებისა. 28 მათგანი საზოგადოების ხარჯით იზრდებიან. ზვარ-ტომობით ყველანი ქართველები არიან, გარდა სამი რუსისა, რომელთაც იმდენად კარგად

---

გაებედნათ ცუდის და უშველებელის აღმართისა გამო. ავედით მაღლაც ლაშარში.

„ლაშარის ჯვარი,“ როგორც უწოდებენ თუშ-ფშავ-ხევსურნი, მდებარეობს ლაშარისავე ფრიად მაღალის მთის ერთს კალთაზედ, მდ. არაგვის მარჯვენა ნაპირზე, არა ნაკლებ ერთის ვერსტის სიმაღლისა არაგვის ნაპირიდგან... „ხატი“ (ასე უწოდებენ თუშ-ფშავ-ხევსურნი ყოველს შენობასა თუ ადგილს, რომელსაც თაყვანსა სცემენ), შესდგება შემდეგ შენობათაგან: 1) უმთავრესი და უწმინდესი ადგილი, სადაც ვერც ერთს ფშაველს, გარდა ხევის-ბერისა, ვერ შეუძლიან შესვლა, შემოზღუდულია სიპის ყორეთი. ყორეს შიგნით შემდეგი შენობებია:

ა) ეკკლესია, რომელიც პიტალო სიპით არის აგებული (უტალახოთ). ამ შენობისა მხოლოდ ოთხი კედელი-ღა დარჩომილა; ხოლო სახურავი, რომელიც სიპისავე ყოფილა, ჩამოქცეულა, რადგანაც კავები დროთა ვითარებას დაულპია და ჩამოუტეხია. ეს შენობა უეჭველად ეკკლესია უნდა ყოფილიყო, რადგანაც კედელში ცარიელი ადგილი შევნიშნე ჯვარის სახედ...

ბ) ამ შენობის ცოტა მოშორებით, ჩრდილოეთის მხრივ არის სადგომი უხუცესის ხევის-ბერისა („სახევისბერო“), რომელიც სიპითვეა აგებული და დახურული. თვით სახლში არაფერია შესანიშნავი, გარდა სიპის სასხდომებისა მთელის სახლის ირგვლივ. აქ უცხოვრია უფროს ხევის-ბერსა, რომელიც თურმე განაგებდა მთელს ლაშარის შემოსავალ-გასავალსა და კუთვნილებასა—განძეულობასა, მამულებსა, ცხვარსა, ძროხასა და ცხვარსა.

გ) ამ შენობის გვერდით არის ნივთთ-საცავი, რომლის სიპის სახურავი ადგილ-ადგილ ჩანგრეულია. ეს შენობა მიწის პირის-პირ არის, ასე რომ ვერც კი შეამჩნევთ, თუ აქ შენობაა...

დ) ამ უკანასკნელის შენობის გვერდით აღმართულია უმთავრესი ხატი—უაღრესი და უუწმიდესი შენობა ლაშარში. ხატი სამრეკლოს სახედ არის გაკეთებული; აღმართულია ოთხ ბოძზედ, რომელნიც სიძველისა გამო ფამფალებენ და თუ არ გამოუცვალეს, მალე ჩაჰბარდებიან პატრონსა... ზევიდგან ჰხურავს პიტალო კალის ფურცლები. შუაში ზარია ჩამოკიდებული, ქვეშ და ახლო-მახლო მრავალი ირმის რქები, რომელთა შორის ზოგი ისრეთის დიდის ხნისანი არიან, რომ სრულიად დაფუტურავებულან; ბევრს ხავსიცა აქვს მოკიდებული...

ეს შენობანი ყორეს შიგნით იმყოფებიან.

ყორეს გარედ არის აღმოსული ერთი ჩრდილოვანი ხე-ნაკრჩხალი, რომლის ძიროსთან აღმართულია ერთი კარგად ფართო სიპის (ერთიანია) სტოლი, რომლის ქვეშ მრავალი წვრილი ზარები და ულლებია (ყელზედ შესაბამი მავთულისა) წმ. გიორგის სურათით. მხოლოდ ამ სტოლთან შეუძლიან ხალხს—კაცებს მოსვლა (დედა-კაცები ათის-ხუთმეტის ნაბიჯის სიშორეზე მოიყრინა მუხლსა და და იქიდგანვე გაბრუნდებიან თავის ბინისაკენ.) სტოლზედ ანთებენ სანთლებსა, სტოვებენ საწირავებსა, „მწყალობდებიან“ მღვდლისა და ხშირად ხევის-ბერთაგანაც და იქავე ჰხოცავენ საკლავსა—ცხვარსა და ძროხა-კურატსა. რამდენიმე ადგილზედ ორმოა გათხრილი, რომლების პირზედ ჰხოცავენ საკლავსა, რომ სისხლით არ მოისვაროს არე-მარე. ერთმა ფშაველმა მიუტანა მღვდელს ჭიქით სისხლი და ჰსთხოვა: „სისხლით მასხურე, შეთქმული მაქვსო.“ მღვდელმა, რასაკვირველია, უარი უთხრა...

(შემდეგი იქნება)

იციან ქართული რომ ამ ენაზედ სწავლა დაუბრკოლებლად შეუძლიანთ.

ამგვე კომიტეტის პირველი მიზანი იყო, რომ საზოგადოების შკოლა შესაფერად ყოფილიყო შენახული, როგორც აღმზრდელობითი, ისე მატერიალურის მხრივაც. იგი ირჩევდა შკოლისათვის ყოველთვის საიმედო ინსპექტორს და მასწავლებელს, თუმც მდიდრულად ვერა, მაგრამ მუდამ წმინდად და მოხდენილად აცმევდა შაგირდებს, შკოლის შენობა იყო ყოვლისფრივ შესაფერი და როგორც კლასსების, ისე პანსიონის ოთახები რიგიანის ავეჯეულობით იყო მოწყობილი. თითო იმ პანსიონერებთაგანის შენახვა, რომელნიც საზოგადოების ხარჯით იზრდებიან, კომიტეტს უჯდება 314 მან., და იმ ყმაწვილების შესანახავად, რომელნიც თავიანთი ხარჯით არიან და 200 მანეთი შემოაქვთ წელიწადში, ის ადებს თავის თანხიდამ 114 მანეთს თითო ყმაწვილზედ.

თავ-და-პირველად შკოლა ორ კლასიანი იყო, მაგრამ კომიტეტმა საჭიროდ დაინახა, რომ ნოემბრიდამ განეცალკევებინა უფროსი განყოფილება მეორე კლასისა და მისგან მესამე განსაკუთრებითი კლასი შეედგინა. ეს ცვლილება, კომიტეტის ახსნით შემდეგი მოსაზრებანით იყო გამოწვეული: რადგანაც სამ-განყოფილებიან ერთს (მეორე) კლასში ერთობ ბევრი შაგირდი იყო, ამისთვის ერთს მასწავლებელს ვერ შეეძლო მათი სწავლება; უფროს განყოფილების შაგირდებმა უფრო მეტი იცოდნენ, ვიდრე დანარჩენ ორ განყოფილებისანმა, ასე რომ მათი ერთ-და-იმავე დროს სწავლება ყოვლად მოუთავსებელი იყო. ამიტომაც კომიტეტმა არჩია რომ მესამე კლასი დაეარსებინა, თუმც ეს კიდევ მეტს ხარჯს მოითხოვდა ერთი მასწავლებლის შეჰმატებით და ავეჯეულობის შეძენით. საზოგადო კრებამ შეუცვლელად დაამტკიცა ეს ანგარიში.

შემდეგ კრებამ მოისმინა კომიტეტისაგან შედგენილი პროექტი საზოგადოების წესდების რამდენიმე მუხლის შეცვლის თაობაზე. სულ უნდა შეცვლილიყო ხუთი მუხლი: პირველი, მეოთხე, მეშვიდე, მეცხრე და მეთოთხმეტე. ამათში ხანგრძლივი ბაასი გამოიწვია პირველი და მეოთხე §§-ების შეცვლამ. თავმჯდომარემ სთქვა, როდესაც ამ საზოგადოებას ვარდგენდითო ჩვენი მიზანი მარტო ის იყო, რომ დავხმარებოდით მოსწავლე შაგირდებს; შემდეგ კი ჩვენ შესაძლოდ და საჭიროდაც დავინახეთ რომ საკუთარი ჩვენი შკოლა გაგვეხსნა *) და ახლა გვინდა მმართებლობამ უფლება მოგვცესო, თუ შეგვეძლება, სხვა შკოლების და გიმნაზიის გახსნისათვის. ამიტომაც საჭიროა 1 § ამ სურვილის მიხედვით შეიცვალოსო.

*) ამისათვის განსაკუთრებითი ნებართვა იყო დ. მ.. სამსტნიკიდამ აღებული.

**ივ. მაჩაბელი.** მე მგონია, რომ 1 § შეუცვლელადაც გვაძლევს მაგ უფლებას. მასში თქმულია, რომ „საზოგადოებას მიზნადა აქვს შეუძლებელ ყმაწვილების ნივთიერად დახმარება, **მათი მომზადება სასწავლებლებისათვის** და სწავლის გაგრძელებისათვის. აქედამ ჩანს, რომ საზოგადოებას უფლება აქვს ყმაწვილების მომზადება **რა გვარიც უნდა იმ გვარ** სასწავლებლისათვის, და რა ნაირად მოამზადებს ის ყმაწვილებს, მაგალითად გიმნაზიის პირველ კლასისათვის თუ პირველ-დაწყებითი შკოლას არ გახსნის, უნივერსიტეტისათვის თუ გიმნაზიას არ დააფუძნებს?

**თავმჯდომარე, კ. ხ. მამაცაშვილი.** ჩვენ ამ 1 §-ის მხოლოდ განმარტება შეგვიძლია მაგ ნაირად. საჭიროა, რომ წესდებაში ყოველისფერი გარკვეულად იყოს თქმული.

**ივ. მაჩაბელი.** სრულიადაც არა, წესდება რაც შეიძლება **ბნელად**, **ზოგადად** უნდა იყოს შედგენილი, რომ მისი მოქმედების ასპარეზი უფრო ვრცელი იყოს. გარდა ამისა შეიძლება მაგ ცვლილება მმართებლობამ არ დაამტკიცოს, და მაშინ ჩვენ არ გვექნება უფლება 1 §-ზე დამყარებით საკუთარი სასწავლებლების გახსნისა.

**თავმჯდომარე.** მაგაზე ნუ სწუხდებით. მე ამის თაობაზე მოველაპარაკე სამასწავლებლო მაზრის მზრუნველს ბ. იანოვსკი, რომელმაც დამარწმუნა, რომ ამ ცვლილების დამტკიცებას არავითარი დაბრკოლება მოელის.

ამის შემდეგ ამ მუხლის ცვლილება მიიღო საზოგადოებამ.

ახლად შეცვლილ მეოთხე მუხლის ძალით საზოგადოების ნამდვილ წევრად უნდა ითვლებოდეს ვისაც წელიწადში სამი (უწინდელ 1 მანეთის მაგიერ) მანეთის ნაკლები არ შემოაქვს და **ბანკის ყველა დამფუძნებლები**, სანამ ბანკი ფულს სწირავს ამ საზოგადოებას.

**ივ. მაჩაბელი** ამის წინააღმდეგია. მისი აზრით ბანკმა აქამდინაც იმდენი ფული შემოსწირა საზოგადოებას, რომ სამართალი მოითხოვს მისი დამფუძნებელნი ყოველთვის ითვლებოდნენ ამ საზოგადოების წევრებად, მის მიუხედველად--შემოსწირავს შემდეგშიაც ბანკი რამეს თუ არა.

**ვლად. მიქელაძის** აზრით ბანკი ვალდებულია, რომ 45% თავის მოგებისა საზოგადოების სასარგებლო საქმეებს შესწიროს, და რადგანაც ამ გვარ საქმეთა შორის უფრო სასარგებლო შკოლის საქმეა, მაშასადამე ბანკის დამფუძნებელნი მხოლოდ თავის ვალდებულებას ასრულებენ, როცა შკოლას ფულს სწირავენ. ასე რომ მხოლოდ ამ საფუძვლით მათი მიღება საზოგადოების წევრებად არა ღირს. ამ აზრისავე არიან თავმჯდომარე და დანარჩენი წევრნიც. ამის და სხვა სამი მუხლის შეცვლა საზოგადოებამ მიიღო.

ამის შემდეგ შეუდგნენ გამგე კომიტეტის წევრების ამორჩევას. ამორჩეულებში სამი ახალი წევრნი არიან; თ. დ. ჟორდანია, ვ. ს. მიქელაძე და ნ. ი. ნიკოლაძე.*) დანარჩენი ოთხი წევრი უწინდელნი ამოირჩიეს: ნ. დ. ჟანანიშვილი. ნ. ზ. ცხვედაძე, ვ. დ. თუმანიშვილი. **თავმჯდომარედ** კ. ხ. მამაცაშვილი, და თავმჯდომარეს თანაშემწედ ი. ს. ზოგებაშვილი აგრეთვე ხელ-ახლავ ერთ-ხმად ამოირჩიეს.

*) ბ. ნიკოლაძე კომიტეტში დარჩა ბატ. ივ. მაჩაბლის შემდეგ, რომელმაც მაზე მეტი კენჭი მიიღო მაგრამ უარი თქვა თანამდებობაზე.

# განცხადებანი

—

თფილისის ოკრუჟნის სუდის მეჟევის დროებითს განყოფილებაში ქ. თელავში არიან დანიშნული მოსასმენელად შემდგომნი საქმენი:

1.) 3 **თიბათვეს**, — იმ დავებისა, რომლებიც აღმოჩნდნენ სოფლის **ქვემო-ხოდაშნის** მამულების გამიჯვნის დროსა;

2.) 10 **თიბათვეს**, — იმ დავებისა, რომელიც აღმოჩნდნენ სოფლის **ბუშეტის** მამულიბის გამიჯვნის დროსა;

3.) 12 **თიბათვეს**, — იმ დავებისა, რომლებიც აღმოჩნდნენ სოფლის **ვანთის** მამულების გამიჯვნის დროსა

4.) 14 **თიბათვის**, — იმ დავებისა, რომლებიც აღმოჩნდნენ სოფლის **აკურის** მამულების გამიჯვნის დროსა;

5.) 17 **თიბათვეს**, — იმ დავებისა, რომლებიც ამღმოჩნდნენ სოფლის **რჩეულეთის** (იგივე არის **ბოსტანა**) და **ხორხელის** მამულების გამიჯვნის დროსა;

6.) 19 **თიბათვის**, — იმ დავებისა რომლე- ბიც აღმოჩნდნენ სოფლის **ალმატის** მამულების გაყოფის დროსა;

7.) 23 **თიბათვეს**, — იმ დავებისა რომლებიც აღმოჩნდნენ სოფლის ვაჩნაძიანის მამულები გამიჯვნის დროსა.

(3—1)

თანახმად გარდაწყვეტილობისა ტფილისის გუბერნიის კეთილშობილთ ყრილობისა 2 მაისს 1879 წელსა, უნდა მოხდეს **ქ. თელავში** კლუბის ზალაში ამ **ოც-და-თერთმეტსა მაისს დილის** ათს საათზედ **განსაკუთრებით თელავის უეზდის თავად-აზნაურთ ყრილობა**, რომელსაც ექმნება სჯა მოპოებასა ზედა ღონის-ძიებისა, რომლითაც უნდა აღიზარდნენ თავად-აზნაურთ შვილები.

თელავის უეზდის კეთილშობილთ წინამძღოლი თ. ვახვახოვი.

(3—3)

**წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მმართველობა** აცნობებს ბ.ბ. საზოგადოების წევრთა, რომ კვირას, 25 მაისს, დილის 12 საათზე, თბილისის საადგილმამულო ბანკის ზალაში იქნება საზოგადოების წევრთა წლიური საზოგადო ყრილობა.

ყრილობის მოსასმენი საგნები არის:

1) მიღება საზოგადოების ნამდვილ წევრათ შემოსვლის მსურველთა.

2) ამორჩევა წევრთა-დამფუძნებელთა.

3) წარმავალი წლის ანგარიშის მოსმენა.

4) მომავალი წლის სმეტის დამტკიცება.

იმ წევრთა, რომელთაც არ შემოუტანიათ ამ წელში შემოსატანი ფული, სთხოვენ დააჩქარონ ამ ფულის გამოგზავნა. ადრესსი: *Тифлисъ. Дворянскій земельный банкъ. Казначею Общества Грамотности кн. И. Г. Мачабели.*

(5—4)

# კანტორა

ოდესსის ვაჭრის

# გრ. ზალინოვისა

(ადრესი: ოდესსა, ალექსანდროვის პროსპექტი, ფიშერის სახლი)

ჰყიდულობს და ჰყიდის, კომმისიით, ყოველ გვარ საქონელს.

აგენტურა სხვა-და-სხვა საქონლის გასასაღებლად.

წარმომადგენელია რუსის და საზღვარ გარეთის ფაბრიკების, ქარხნების და სავაჭრო სახლებისა.

აქვე ნარდათ ჰყიდის და ჰყიდულობს, გრეთვე კამისიის ფქვილს, საწვრიმალო და კოლონიალურ საქონელს.

(30—6)

ახლანდელ დიდს

# გამოფენის

დროს,

ოლეოგრაფიული სურათები იყიდება 20% დაკლებით, მაკ-ინტოშები (მოსასხურავები) 6 მანეთიდამ 20-მდე; შრთქები მოსაფხეკებითურთ თითო 75 კ.; შეკვეთილია შეფუთვილდში განსაკუთრებით ინგლისურ მაღაზიისთვის საუკეთესო სამართებლები, რწყვილა ბუდეებით ღირს 4 მან.; შეფუთვილის დანები ჩანგლებიანათ დუჟინი 2 მ. 75 კაპეიკიდამ 20-მანეთამდე. ჩაინიკები ბრიტანიის მეტალისაგან 30 კაპეიკიდამ 3 მანეთამდე; ციტრატ-მაგნეზია, ოსმალოს შარბათი და სამწყურვალო კვერების ბანქა 70 კ.; საუკეთესო პორტ-ვეინი და ხერესი 1 მ. 40 კ. ბოთლი, და შამპანიის ღვინო ბოთლი 3 მან. და სხვ. ინგლისურს მაღაზიაში.

(40—12)

Дозволено цензурою. Тифлисъ 13 Мая 1880 г. Типографія Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი